

საჩივრები და გასაჩივრების პროცედურები

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჩივრების ტიპებს, გასაჩივრების პროცედურებსა და ვადებს. მისი დაცვა სავალდებულოა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ადმინისტრაციისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის.
- 1.2. საჩივრის ტიპები:
 - 1.2.1. სუბიექტური საჩივარი - სტუდენტის/ლექტორის/სასწავლო პროცესში ჩართული ნებისმიერი პირის/ადმინისტრაციული პერსონალის ქცევის, პირადი ინფორმაციის გასაჯაროების, დისკრიმინაციის და ა.შ გასაჩივრება;
 - 1.2.2. ადმინისტრაციული საჩივარი - უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის, სასწავლო რეგულაციებისა და პროცედურების, საგანმანათლებლო ან სხვა სახის მომსახურების არაჯეროვანი უზრუნველყოფის გასაჩივრება;
 - 1.2.3. აკადემიური საჩივარი - სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების გასაჩივრება;
- 1.3. საჩივრის წარდგენამდე მიზანშეწონილია დაინტერესებული პირი მოლაპარაკების გზით ეცადოს არსებული პრობლემის გადაჭრას, სადაო საკითხზე პასუხისმგებელი პირისადმი მიმართვის გზით. იმ შემთხვევაში, თუ დაყოვნება დაკავშირებულია პიროვნების კანონიერი ინტერესისადმი მნიშვნელოვან ზიანთან, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია წარადგინოს საჩივარი თავდაპირველი მოლაპარაკების მცდელობის გარეშე.
- 1.4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს კეთილსინდისიერი მომჩივნის დაცვა ყოველგვარი შურისძიების ან უკანონო ზემოქმედებისგან. საჩივართან დაკავშირებით ნებისმიერი ზემოქმედება მომჩივანზე ან მისი დაშინების მცდელობა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ მომჩივნის მოთხოვნები აშკარად უსაფუძვლოა და ის ბოროტი განზრახვით მოქმედებდა, მის მიმართ შეიძლება განხორციელდეს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებები.
- 1.5. უნივერსიტეტი არ არის აღჭურვილი მნიშვნელოვანი საგამომიებო უფლებამოსილებითა და სრულფასოვანი გამოძიების ჩატარებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით. შესაბამისად, მის იურისდიქციას სცილდება უნივერსიტეტის ფარგლებში ჩადენილი

სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ქმედების გამოძიება. ყოველი ამგვარი ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს. უნივერსიტეტი აგრეთვე ვერ განიხილავს საჩივარს, თუ:

1.5.1. არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება დავის იმავე საგანზე;

1.5.2. სასამართლო განიხილავს დავას იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

1.5.3. არსებობს უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დავის იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და საფუძვლით;

1.5.4. გასულია საჩივრის წარდგენის ვადა;

1.5.5. საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

1.6. სუბიექტური და ადმინისტრაციული საჩივრების წარდგენა უნდა მოხდეს სადაო ქმედების განხორციელებიდან ან/და ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 30 დღის ვადაში. გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ 30-დღიანი ვადის გაშვება მოხდა ავადმყოფობის, უნივერსიტეტის ან სხვა საპატიო მიზეზით.

1.7. მომჩივანს უფლება აქვს, უარი განაცხადოს საკუთარ მოთხოვნებზე საჩივრების განმხილველი ორგანოს (სკოლის ადმინისტრაცია, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სპეციალურად შექმნილი კომისია) მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. უარი საჩივარზე წერილობით უნდა გაფორმდეს. საქმის ზეპირი განხილვისას მომჩივანი უფლებამოსილია, საჩივარზე უარი ზეპირადაც განაცხადოს. საჩივარზე უარის თქმა აჩერებს საქმისწარმოებას.

1.8. სუბიექტურ და ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საჩივრების განმხილველ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება:

1.8.1. საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;

1.8.2. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

1.8.3. საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2. სუბიექტური საჩივრები

2.1. საჩივარი უნდა დაფიქსირდეს სკოლის ადმინისტრაციასთან ზეპირსიტყვიერად ან/და წერილობით (დანართი 1) მომჩივანი პირის გადაწყვეტილების შესაბამისად;

2.2. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია განიხილოს საჩივარი და მოაგვაროს ის მისი კომპეტენციის ფარგლებში, მომჩივანსა და საჩივრის ადრესატ პირთან კომუნიკაციის შედეგად. საჭიროების შემთხვევაში მან უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების შეხვედრის ორგანიზება;

2.3. თუ სკოლის ადმინისტრაციის მიერ საჩივარი არ/ვერ იქნა მოგვარებული მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში ან/და მომჩივანი უკმაყოფილოა მიღებული გადაწყვეტილებით, მაშინ მას უფლება აქვს წერილობით ფორმით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საკითხის მოგვარების მიზნით;

- 2.4. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია წინამდებარე წესის 2.3 პუნქტის თანახმად სკოლის ადმინისტრაციის მიერ განხილული საჩივარი განიხილოს დისციპლინური წარმოების პროცედურების შესაბამისად შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის „სტუდენტის ეთიკის წესის“ დაცვით; სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხედველობაში არ მიიღება;
- 2.5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

3. ადმინისტრაციული საჩივრები

- 3.1. საჩივარი უნდა დაფიქსირდეს სკოლის ადმინისტრაციასთან წერილობითი ფორმით (დანართი 2);
- 3.2. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა აჩერებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს ან საფრთხეს შეუქმნის უნივერსიტეტში არსებულ წესრიგს.
- 3.3. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია განიხილოს საჩივარი მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში და მომჩივანს წერილობითი ფორმით გასცეს არგუმენტირებული პასუხი, შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მითითებით;
- 3.4. თუ სკოლის ადმინისტრაცია წინამდებარე წესის 3.2 პუნქტში წარდგენილი საჩივრის შესწავლის დროს გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩათვლის გასაჩივრებულ აქტში/წესში ან/და პროცედურებში ცვლილების შეტანას, მაშინ მან ამის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა აცნობოს მომჩივანს წერილობით წინამდებარე წესის 3.3. პუნქტით დადგენილ ვადებში და ამავდროულად (იმავე თარიღით), უნდა მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით;
- 3.5. მომჩივანს უფლება აქვს წინამდებარე წესის 3.2 ფუნქტში წარდგენილი საჩივრზე სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში;
- 3.6. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია წინამდებარე წესის 3.4 ან/და 3.5 პუნქტების თანახმად წარმოდგენილი გადაწყვეტილება/საჩივარი განიხილოს მათი წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში;
- 3.7. საჩივართან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია უნდა გადაეცეს საჩივრების განმხილველი ორგანოს თითოეულ წევრს საჩივრის განხილვამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა.
- 3.8. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეს სურს წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები ან მოწმეები, საჩივრის განხილვა შეიძლება გადატანილ იქნეს

გონივრული ვადით იმისათვის, რომ მეორე მხარემ მოამზადოს პასუხი დამატებით წარმოდგენილ მტკიცებულებებზე.

- 3.9. საჩივრების განმხილველმა ორგანომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება საჩივრის განხილვიდან არაუგვიანეს 10 დღისა .
- 3.10. თუ, ლეგიტიმური მიზეზების გამო, საჩივრის გადაწყვეტა შეუძლებელია წინამდებარე წესის 3.9 პუნქტით დადგენილ ვადაში, შესაბამისმა ორგანომ წერილობით უნდა აცნობოს მომჩივანს:
 - 3.10.1. ვინ განიხილავს მის საჩივარს;
 - 3.10.2. გადავადების მიზეზი;
 - 3.10.3. ვადა, როდის ეცნობება სტუდენტს საბოლოო გადაწყვეტილება.
- 3.11. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მომჩივანს.
- 3.12. საჩივართან დაკავშირებით დამატებითი გამოძიების ჩატარების აუცილებლობისას საბოლოო გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 დღისა.
- 3.13. საჩივრების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.
- 3.14. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

4. აკადემიური საჩივრები

- 4.1. შეფასება უნდა გასაჩივრეს შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.
- 4.2. სტუდენტმა შეფასების გასაჩივრების მიზნით თავდაპირველად უნდა მიმართოს სასწავლო კურსის პედაგოგს, რათა გაარკვიოს ამ უკანასკნელის მიერ გამოყენებული ცოდნის შეფასების კრიტერიუმები და საკუთარი პრეტენზიების გონივრულობა;
- 4.3. სასწავლო კურსის პედაგოგი ვალდებულია სტუდენტთან ერთად განიხილოს შესრულებული ნაშრომი და მისცეს მას ამომწურავი უკუკავშირი მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით.
- 4.4. შეფასების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სასწავლო კურსის პედაგოგი ვალდებულია სკოლის ადმინისტრაციას მიაწოდოს სრული ინფორმაცია სტუდენტის შეფასების ცვლილების შესახებ, სადაც უნდა დაფიქსირდეს ცვლილების მიზეზი;
- 4.5. წინამდებარე წესის 6.3 პუნქტის დაუკმაყოფილებლობის ან/და მიღებული გადაწყვეტილებით სტუდენტის უკმაყოფილების შემთხვევაში, მას უფლება აქვს წერილობით ფორმით (იხ. დანართი 3) მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში;

- 4.6. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია სტუდენტის ნაშრომი შეაფასებინოს დამოუკიდებელ ექსპერტს, სილაბუსში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით.
- 4.7. თუ დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ სტუდენტის ნაშრომის შეფასებასა და სასწავლო კურსის პედაგოგის შეფასებას შორის ცდომილება ნაკლებია 10%-ზე, მაშინ სკოლის ადმინისტრაცია სტუდენტს უფორმებს ამ ორი შეფასების საშუალო არითმეტიკულით გამოთვლილ ქულას.
- 4.8. თუ სხვაობა აღემატება 10%-ს, მაშინ სტუდენტის ნაშრომი უნდა იქნას შეფასებული მეორე დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. რომელი დამოუკიდებელი ექსპერტის ქულაც უფრო ახლოს არის სასწავლო კურსის პედაგოგის ქულასთან, უნდა მოხდეს იმ ქულის და სასწავლო კურსის პედაგოგის ქულის გასაშუალოება და სტუდენტისთვის შესაბამისი შედეგის დაფიქსირება.
- 4.9. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია სტუდენტს წერილობითი ფორმით აცნობოს მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი საჩივრის დაფიქსირებიდან 10 დღის ვადაში.
- 4.10. დაუშვებელია პედაგოგის ან/და სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების მომჩივანის საუარესოდ შეცვლა.

5. დასკვნითი დებულებები

- 5.1. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი ნორმების შესაბამისად.

სუბიექტური საჩივრების გასაჩივრების ფორმა

მომჩივანის სახელი, გვარი, პირადი ნომერი: _____
მისამართი, ტელეფონი: _____
ელ-ფოსტა: _____

პირის სახელი და გვარი, რომლის ქვედებაც საჩივრდება (არსებობის შემთხვევაში)

გასაჩივრებული ქმედება:

უფლების ან კანონიერი ინტერესის დარღვევის მკაფიო აღწერილობა:

მოწმეთა ვინაობა (არსებობის შემთხვევაში):

წარმომადგენლის ან დამცველის ვინაობა (არსებობის შემთხვევაში):

მოთხოვნა, იმ ზომების ჩამონათვალი, რომელთა მიღებასაც მოითხოვს მომჩივანი:

საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა და სხვა დოკუმენტური მტკიცებულებები:

შევსების თარიღი: _____

ადმინისტრაციული საჩივრების გასაჩივრების ფორმა

მომჩივანის სახელი, გვარი, პირადი ნომერი: _____

მისამართი, ტელეფონი: _____

ელ-ფოსტა: _____

აქტის/ნორმატიული დოკუმენტის/პროცედურის დასახელება:

გასაჩივრებული კონკრეტული მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი:

უფლების ან კანონიერი ინტერესის დარღვევის მკაფიო აღწერილობა:

მოთხოვნა, იმ ზომების ჩამონათვალი, რომელთა მიღებასაც მოითხოვს მომჩივანი:

საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა და სხვა დოკუმენტური მტკიცებულებები:

შეცვლის თარიღი: _____

აკადემიური საჩივრების გასაჩივრების ფორმა

სტუდენტის სახელი და გვარი: _____

პირადი ნომერი: _____

საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა) _____

სასწავლო კურსის დასახელება:

სასწავლო წელი და სწავლების სემესტრი/ტრიმესტრი:

სასწავლო კურსის პედაგოგი: _____

შეფასების კომპონენტი, რომლის შედეგსაც ასაჩივრებს სტუდენტი: _____

მიღებული შეფასება: _____

შეფასების გასაჩივრების მიზეზი (უნდა მიეთითოს კონკრეტულად შეფასების რა ნაწილს ასაჩივრებს სტუდენტი და ის კრიტერიუმები, რომლებიც სტუდენტის აზრით მის შეფასებაში არასათანადოდ იქნა გამოყენებული):

შევსების თარიღი: _____